შპს "კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში" / LLC “Branch of Sinohydro Corporation in Georgia"

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად / Financial reporting package for 31.12.2022

შ ი ნ ა ა რ ს ი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს (ს/ნ 404859122) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტის შედეგების შესახებ ---------- 1-6

შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს <u>2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები:</u>

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ---------- 7

სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ---------- 8

ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ----------9

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ----------10

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ----------11-36

მმართველობის ანგარიშგება (2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა) ----------37-39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში"-ს (ს/ნ 404859122) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებების აუდიტის შედეგების შესახებ

ადრესატი:

შპს „კორპორაცია სინოჰიდროსა" ფილიალი საქართველოში" - სა და მისი სათავო ოფისის ხელმძღვანელობას (ს/ნ 404859122).

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში"-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.
ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის -„პირობითი მოსაზრების საფუძველი" -ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტების გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში"-ს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჩაუტარებია მატერიალურ

ფასეულობათა ინვენტარიზაცია, რაც „მასშტაბის შეზღუდვას“ წარმოადგენს და აღნშნულ საკითხს, გარდა ინვენტარიზაციისა სხვა ალტერნატივა არ აქვს. ასევე „მასშტაბის შეზღუდვაა“ დებიტორ-კრედიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით, სადაც მაღალი კონტროლის რისკის გამო შეირჩა 103 საწარმო, საიდანაც მხოლოდ 20 საწარმოადან იქნა მოწოდებული დასტურის (დადებითი) წერილი.

ზემოთ აღნიშნული მასშტაბის შეზღუდვის გამო ვერ დგინდება მატერიალური ფასეულობებისა და დებიტორ-კრედიტორების შესაძლო უზუსტობამ რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ზემოხსენებულ 103 საწარმოთა სიაში აღრიცხულ 2 პირზე (ULTRA TEKNOLJI SAN VE TIC A.S და WINDEX TRADING LIMITED) ირიცხება 2 685 828 ლარის მოთხოვნა, რომელიც დაახლოებით 11 წლის წინანდელი საავანსო გადარიცხვის შედეგად იქნა წარმოშობილი. დღემდე ამ საწარმოებთან სამართლებრივი პროცედურები არ განხორციელებულა და შესაბამისად არც მათი მოსაზრებაა ცნობილი ხანდაზნული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნული აქტივიდან არ არის მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის მიღება, ვინაიდან კომპანიას ხანდაზმულობის გამო მოთხოვნის უფლება არ გააჩნია და შესაბამისად არ კმაყოფილდება აქტივის განმარტება, რის გამოც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2 685 828 ლარის ასახვა ზედმეტად ოპტიმისტურად წარმოაჩენს ფილიალის აქტივებს. ამასთან, აღნიშნული საკითხი არ არის გამჟღავნებული განმარტებით შენიშვნებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-სგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ შემუშავებული ეთიკის საერთაშორისო კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ

ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 უხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში"-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში" უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა

მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება

შპს „თქვენი მრჩეველი“ - სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-289273

გიორგი ბარიშვილი - სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-149704

დასკვნის შედგენის თარიღი: 29 სექტემბერი 2023 წელი

მისამართი: თბილისი, აბასთუმნის ქუჩა N8.

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ / Financial Position Statement as of 31.12.2022

(ლარი / GEL)

მიმდინარე აქტივები / Current assets	შენიშვნა / note	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები / Cash and cash equivalents	1.5	4,751,429	31,054,356	84,859,894
დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები / Debtors receivables and other receivables	3.1	11,333,368	6,123,563	12,742,439
გადახდილი ავანსები / Advances paid	3.3,4,7	4,430,920	5,062,108	4,483,098
საგადასახადო მოთხოვნები / Tax assets	3.6	10,556,995	14,579,842	10,664,877
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის წინაშე / Receivables from personnel	3.5	9,836	-	-
მარაგები / Inventory	2.9	3,014,834.88	7,592,733	3,181,539
სულ მიმდინარე აქტივები / Total current assets		**34,097,383**	**64,412,602**	**115,931,848**
გრძელვადიანი აქტივები / Non-current assets				
ძირითადი საშუალებები / Long-terms assets	11.10-11	57,032,026	54,259,030	33,420,736
არამატერიალური აქტივები / Intangible assets	11.11'	141,715	441,102	752,062
სულ გრძელვადიანი აქტივები / Total non-current assets		**57,173,741**	**54,700,132**	**34,172,798**
სულ აქტივები / Total assets		**91,271,124**	**119,112,735**	**150,104,646**
ვალდებულებები და კაპიტალი / Liabilities and equity				
მიმდინარე ვალდებულებები / Current liabilities	4.8	12105445.23		
კრედიტორული დავალიანება / Credit liability	4.6-7	21,705,444	4,701,608	2,861,225
საგადასახადო ვალდებულება / Tax liabilities	4.1	0	0	7,033,942
ვალდებულებები პერსონალის წინაშე / Liabilities before the personnel	4.2	-	715,000	-
მიღებული ავანსები / Advances received	4.4	51,164,787	69,390,213	67,191,720
გადასახდელი ხელფასი / Salaries to be paid	4.3	-	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები / Total current liabilities		**84,975,676**	**74,806,821**	**77,086,888**
გრძელვადიანი ვალდებულებები / Non-current liabilities				
სესხი სათაო ოფისიდან / Debt from head office	5.3	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები / Total non-current liabilities		**0**	**0**	**0**
საკუთარი კაპიტალი / Equity				
საწესდებო კაპიტალი / Charter capital	Capital		-	-
გადაფასების რეზერვი / Revaluation reserve		10,680,900		
კაპიტალიზებადი რეზერვები / Capitalizable reserves			-	-
სხვა რეზერვები / Other reserves				
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი) / Undistributed capital (loss)		(4,385,452)	44,305,914	73,017,758
სულ საკუთარი კაპიტალი / Total equity		**6,295,449**	**44,305,914**	**73,017,758**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი / Total Liability and Equity		**91,271,124**	**119,112,735**	**150,104,646**

დირექტორი / Director

მთავარი ბუღალტერი / Head Accountant

შპს "კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში" / LLC “Branch of Sinohydro Corporation in Georgia"

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ / Financial Position Statement as of 31.12.2022

(ლარი / GEL)

მიმდინარე აქტივები / Current assets	**შენიშვნა / note**	**31.12.2022**	**31.12.2021**	**31.12.2020**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები / Cash and cash equivalents	1.5	4,751,429	31,054,356	84,859,894
დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები / Debtors receivables and other receivables	3.1	11,333,368	6,123,563	12,742,439
გადახდილი ავანსები / Advances paid	3.3,4,7	4,430,920	5,062,108	4,483,098
საგადასახადო მოთხოვნები / Tax assets	3.6	10,556,995	14,579,842	10,664,877
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის წინაშე / Receivables from personnel	3.5	9,836	-	-
მარაგები / Inventory	2.9	3,014,834.88	7,592,733	3,181,539
სულ მიმდინარე აქტივები / Total current assets		**34,097,383**	**64,412,602**	**115,931,848**
გრძელვადიანი აქტივები / Non-current assets				
ძირითადი საშუალებები / Long-terms assets	11.10-11	57,032,026	54,259,030	33,420,736
არამატერიალური აქტივები / Intangible assets	11.11'	141,715	441,102	752,062
სულ გრძელვადიანი აქტივები / Total non-current assets		**57,173,741**	**54,700,132**	**34,172,798**
სულ აქტივები / Total assets		**91,271,124**	**119,112,735**	**150,104,646**
ვალდებულებები და კაპიტალი / Liabilities and equity				
მიმდინარე ვალდებულებები / Current liabilities	4.8	12105445.23		
კრედიტორული დავალიანება / Credit liability	4.6-7	21,705,444	4,701,608	2,861,225
საგადასახადო ვალდებულება / Tax liabilities	4.1	0	0	7,033,942
ვალდებულებები პერსონალის წინაშე / Liabilities before the personnel	4.2	-	715,000	-
მიღებული ავანსები / Advances received	4.4	51,164,787	69,390,213	67,191,720
გადასახდელი ხელფასი / Salaries to be paid	4.3	-	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები / Total current liabilities		**84,975,676**	**74,806,821**	**77,086,888**
გრძელვადიანი ვალდებულებები / Non-current liabilities				
სესხი სათაო ოფისიდან / Debt from head office	5.3	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები / Total non-current liabilities		**0**	**0**	**0**
საკუთარი კაპიტალი / Equity				
საწესდებო კაპიტალი / Charter capital	Capital		-	-
გადაფასების რეზერვი / Revaluation reserve		10,680,900		
კაპიტალიზებადი რეზერვები / Capitalizable reserves			-	-
სხვა რეზერვები / Other reserves				
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი) / Undistributed capital (loss)		(4,385,452)	44,305,914	73,017,758
სულ საკუთარი კაპიტალი / Total equity		**6,295,449**	**44,305,914**	**73,017,758**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი / Total Liability and Equity		**91,271,124**	**119,112,735**	**150,104,646**

დირექტორი / Director

მთავარი ბუღალტერი / Head Accountant

შპს "კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში" / LLC "Branch of Sinohydro Corporation in Georgia"

ანგარიშგება სრული შემოსავლების შესახებ / Financial Statement as of 31 December of 2022
Income Statement

	შენიშვნა / note	2022	2021
საოპერაციო შემოსავლები/ Operating income	6.4	68,908,775	57,091,277
საოპერაციო ხარჯები/ Operating Costs	9.13	100,381,446	77,712,120
საერთო მოგება/ Gross profit		**(31,472,672)**	**(20,620,842)**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები/ General and administrative expenses	10.17	13,585,777	9,917,063
არასაოპერაციო შემოსავლები/ Non-operating income	7.1	-	-
არასაოპერაციო ხარჯები/ Non-operating expenses	7.2	21,234	-
ფინანსური შემოსავლები და ხარჯები/ Financial income and expenses	8.5	- 3,611,683	1,826,061
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე/ Profit (loss) before taxation		**(48,691,366)**	**(28,711,844)**
მოგების გადასახადი/ Income tax			
წმინდა მოგება (ზარალი) / Net profit (loss)		**(48,691,366)**	**(28,711,844.40)**

დირექტორი / Director

მთავარი ბუღალტერი / Head Accountant

შპს "კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში" / LLC “Branch of Sinohydro Corporation in Georgia"

ანგარიშგება სრული შემოსავლების შესახებ / Financial Statement as of 31 December of 2022
Income Statement

	შენიშვნა / note	**2022**	**2021**
საოპერაციო შემოსავლები/ Operating income	6.4	68,908,775	57,091,277
საოპერაციო ხარჯები/ Operating Costs	9.13	100,381,446	77,712,120
საერთო მოგება/ Gross profit		**(31,472,672)**	**(20,620,842)**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები/ General and administrative expenses	10.17	13,585,777	9,917,063
არასაოპერაციო შემოსავლები/ Non-operating income	7.1	-	-
არასაოპერაციო ხარჯები/ Non-operating expenses	7.2	21,234	-
ფინანსური შემოსავლები და ხარჯები/ Financial income and expenses	8.5	- 3,611,683	1,826,061
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე/ Profit (loss) before taxation		**(48,691,366)**	**(28,711,844)**
მოგების გადასახადი/ Income tax			
წმინდა მოგება (ზარალი) / Net profit (loss)		**(48,691,366)**	**(28,711,844.40)**

დირექტორი / Director

მთავარი ბუღალტერი / Head Accountant

ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ / Statement on Capital Changes

(ლარი / GEL)

	შენიშვნა / note	საწესდებო კაპიტალი / Charter capital	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი / Undistributed Profit/loss	გადაფასების რეზერვი / Revaluation reserve	კაპიტალიზებადი რეზერვი / Capitalized reserves	სხვა რეზერვი / Other reserves	სულ კაპიტალი / Total capital
კაპიტალი 31.12.2020 წლის მდგომარეობით / Capital as of 31.12.2020		-	73,017,758	-	-	-	73,017,758
2021 წლის მოგება (ზარალი) / 2021 Profit (Loss)		0	(28,711,844.40)	0	0	0	(28,711,844)
ზრდა / Increase							0
შემცირება / Decrease			0		0	0	0
კაპიტალი 31.12.2021 წლის მდგომარეობით / Capital as of 31.12.2021		-	44,305,913.80	-	-	-	44,305,913.80
2022 წლის მოგება (ზარალი) / 2022 Profit (Loss)		0	(48,691,366)	0	0	0	(48,691,366)
ზრდა / Increase				63,257,951			63,257,951
შემცირება / Decrease			0	(52,577,051)	0	0	(52,577,051)
კაპიტალი 31.12.2022 წლის მდგომარეობით / Capital as of 31.12.2022		-	- 4,385,451.75	10,680,900	-	-	6,295,448,52

დირექტორი / Director

მთავარი ბუღალტერი / Head Accountant

ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ / Statement on Capital Changes

(ლარი / GEL)

	შენიშვნა / note	საწესდებო კაპიტალი / Charter capital	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი / Undistributed Profit/loss	გადაფასების რეზერვი / Revaluation reserve	კაპიტალიზებადი რეზერვი / Capitalized reserves	სხვა რეზერვი / Other reserves	სულ კაპიტალი / Total capital
კაპიტალი 31.12.2020 წლის მდგომარეობით / Capital as of 31.12.2020		**-**	**73,017,758**	**-**	**-**	**-**	**73,017,758**
2021 წლის მოგება (ზარალი) / 2021 Profit (Loss)		**0**	(28,711,844.40)	**0**	**0**	**0**	**(28,711,844)**
ზრდა / Increase							**0**
შემცირება / Decrease			**0**		**0**	**0**	**0**
კაპიტალი 31.12.2021 წლის მდგომარეობით / Capital as of 31.12.2021		**-**	**44,305,913.80**	**-**	**-**	**-**	**44,305,913.80**
2022 წლის მოგება (ზარალი) / 2022 Profit (Loss)		**0**	(48,691,366)	**0**	**0**	**0**	**(**48,691,366**)**
ზრდა / Increase				**63,257,951**			**63,257,951**
შემცირება / Decrease			**0**	**(52,577,051)**	**0**	**0**	**(52,577,051)**
კაპიტალი 31.12.2022 წლის მდგომარეობით / Capital as of 31.12.2022		**-**	**- 4,385,451.75**	**10,680,900**	**-**	**-**	**6,295,448,52**

დირექტორი / Director

მთავარი ბუღალტერი / Head Accountant

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება / Cash flow statement
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს / Financial Statement as of 31 December of 2022

	2022	2021	2020
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან / Cash flow from operating activities			
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე / Profit / loss before tax	-48,691,366	-28,711,844	46,224,392
კორექტირებები: / Adjustments:			
ცვეთა და ამორტიზაცია / Depreciation and amortization	12,079,671	9,460,734	7,790,228
ფიქსირებული აქტივების კორექტირება / Adjustment of fixed assets	10,395,697	1,432	1,337,361
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი) / Income / (loss) from exchange rate difference			
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე / Profit / loss from operating activities before changes in working capital	**-26,215,998**	**-19,249,678**	**55,351,981**
კლება/ზრდა: / Decrease / increase:			
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში / Changes in trade and other receivables	-5,209,805	6,618,876	16,685,445
ცვლილებები მარაგებში / Changes in inventory	4,577,898	-4,411,193	4,632,407
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში / Changes in prepaid taxes	4,022,847	-3,914,965	-7,657,281
ცვლილებები წინასწარ გადახდილ ხარჯებში / Changes in prepaid expenses	631,188	-579,010	-603,475
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში / Changes in tax liabilities	0	-7,033,942	3,081,674
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში / Changes in trade and other credit accounts payable	-1,221,591	4,038,875	4,160,865
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან / Cash from operating activities	**2,800,537**	**-5,281,359**	**20,299,634**
გადასახდელი მოგების გადასახადი / Profit tax payable			
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები / Net cash used for operating activities	**2,800,537**	**-5,281,359**	**20,299,634**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან / Cash from investment activities			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა / Acquisition of fixed assets and intangible assets	(693,983)	(30,690,128)	-663,472
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან / Net cash from investment activities	**-693,983**	**-30,690,128**	**-663,472**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან / Cash from financial activities			
სათაო ოფისის მიზნობრივი დაფინანსება / Target funding for head office	*0*	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან / Net cash from financial activities	**0**	**0**	**0**
წმინდა ფულადი სახსრების (შემცირება)/ზრდა / Net cash (decrease) / increase	**-24,109,444**	**-55,221,166**	**74,988,144**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის / Cash for the beginning of the year	31,054,356	84,859,894	10,071,888
ფულისა და ფულის ექვივალენტების გადაფასების ეფექტი / The effect of revaluation of cash and cash equivalents	-2,193,483	1,415,628	-200,137
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის / Cash by the end of the year	**4,751,429**	**31,054,356**	**84,859,894**

დირექტორი / Director

მთავარი ბუღალტერი / Head Accountant

შპს "კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში" / LLC "Branch of Sinohydro Corporation in Georgia"

ფინანსური ანგარიშგება 31.12.2022 წლის მდგომარეობით / Financial reporting package for 31.12.2022

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება / Cash flow statement

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს / Financial Statement as of 31 December of 2022

	2022	2021	2020
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან / Cash flow from operating activities			
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე / Profit / loss before tax	-48,691,366	-28,711,844	46,224,392
კორექტირებები: / Adjustments:			
ცვეთა და ამორტიზაცია / Depreciation and amortization	12,079,671	9,460,734	7,790,228
ფიქსირებული აქტივების კორექტირება / Adjustment of fixed assets	10,395,697	1,432	1,337,361
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი) / Income / (loss) from exchange rate difference			
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე / Profit / loss from operating activities before changes in working capital	**-26,215,998**	**-19,249,678**	**55,351,981**
კლება/ზრდა: / Decrease / increase:			
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში / Changes in trade and other receivables	-5,209,805	6,618,876	16,685,445
ცვლილებები მარაგებში / Changes in inventory	4,577,898	-4,411,193	4,632,407
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში / Changes in prepaid taxes	4,022,847	-3,914,965	-7,657,281
ცვლილებები წინასწარ გადახდილ ხარჯებში / Changes in prepaid expenses	631,188	-579,010	-603,475
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში / Changes in tax liabilities	0	-7,033,942	3,081,674
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში / Changes in trade and other credit accounts payable	-1,221,591	4,038,875	4,160,865
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან / Cash from operating activities	**2,800,537**	**-5,281,359**	**20,299,634**
გადასახდელი მოგების გადასახადი / Profit tax payable			
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები / Net cash used for operating activities	**2,800,537**	**-5,281,359**	**20,299,634**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან / Cash from investment activities			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა / Acquisition of fixed assets and intangible assets	(693,983)	(30,690,128)	-663,472
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან / Net cash from investment activities	**-693,983**	**-30,690,128**	**-663,472**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან / Cash from financial activities			
სათაო ოფისის მიზნობრივი დაფინანსება / Target funding for head office	*0*	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან / Net cash from financial activities	**0**	**0**	**0**
წმინდა ფულადი სახსრების (შემცირება)/ზრდა / Net cash (decrease) / increase	**-24,109,444**	**-55,221,166**	**74,988,144**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის / Cash for the beginning of the year	31,054,356	84,859,894	10,071,888
ფულისა და ფულის ექვივალენტების გადაფასების ეფექტი / The effect of revaluation of cash and cash equivalents	-2,193,483	1,415,628	-200,137
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის / Cash by the end of the year	**4,751,429**	**31,054,356**	**84,859,894**

დირექტორი / Director

მთავარი ბუღალტერი / Head Accountant

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს "კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში" დაფუძნდა 2010 წლის 08 აპრილს, საიდენტიფიკაციო კოდი: 404859122, მარეგისტრირებელი ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; კომპანიის იურიდიული მისამართი: 404859122. კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კორპორაცია სინოჰიდრო (კოდი: 100000000039368), რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია 100%-ით Powerchina International Group LTD (ლიცენზიის N91110108MA0052EU52, რეგისტრირებული ჩინეთში), ხოლო აღნიშნული კომპანიის 100%-იანი დამფუძნებელია Powerchina Construction Corporation Ltd (ლიცენზიის N 911100007109331046, რეგისტრირებული ჩინეთში), საბოლოო დამფუძნებელი კომპანიის არის 86,26%-ით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ხოლო 13,74% აქციებისა კოტირებულია შანხაის საფონდო ბირჟაზე.

კომპანიის მოკლე აღწერა

კომპანიის საქმიანობა მოიცავს სახელმწიფო დაკვეთებს, სახელმწიფო ტენდერში გამარჯვების შედეგების მიხედვით. აღნიშნული პროექტები ფინანსდება ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით აგრეთვე აზიის განვითარების ბანკის და ევროპის ბანკის მიერ გამოყოფილი სახსრებით. კომპანიას არ გააჩნია საბანკო სესხები და არც გეგმავს მომავალში სესხების აღებას.

ფილიალის მიერ განხორციელებული და მოქმედი პროექტებია:

1) რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია ე-60 გზის (143-ე კმ-ზე) FEWHIP-AF/CW/ICB-01

2) თბილისი-რუსთავის მონაკვეთი თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი) გზის მონაკვეთის მოდერნიზაცია პირველი და მე-3 სექცია კონტრაქტის # P42414-SUTIP2-ICB-1.03-2013

3) ქობულეთის შემოვლითი გზის კმ.0+000 - კმ. 12+400 მონაკვეთის მშენებლობა და არსებული გზის გაგანიერება 4 ზოლიანამდე, ჩაქვი-მახინჯაურის კმ 30+000 - კმ. 33+000 მონაკვეთზე . კონტრაქტის # RCIP/CW-ICB-01/03

4) ქობულეთის შემოვლითი გზის კმ.0+000 - კმ. 12+400 მონაკვეთის მშენებლობა და არსებული გზის გაგანიერება 4 ზოლიანამდე, ჩაქვი-მახინჯაურის კმ30+000 - კმ. 33+000 მონაკვეთზე . კონტრაქტის # RCIP/CW-ICB-02

5) E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სამშენებლო სამუშაო, ზემო-ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთი LOT 1 (კმ 0+000-კმ5+800). კონტრაქტი # EWHCIP/CW/ICB-01

6) სამტრედია-გრიგოლეთის - 60 გზატკეცილის 11+500 კმ - 30+000 კმ მონაკვეთის მშენებლობა. კონტრაქტის # EWHG/CW/ICB-02

2020-2021 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და კორპორაცია სინოჰიდროს სათაო კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლის ფარგლებში პროექტებს განახორციელებს შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში" 2020-2022 წლებში და რომლის ჯამური ღირებულება განისაზღვრა 360,681,790.54 ლარის ექვივალენტით:

1. ბათუმი (ანგისა)-ახალციხის (შ-1) შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო-ზარზმას მონაკვეთის (ლოტი1, ხულო-გოდერძის უღელტეხილი კმ5+195 - კმ29+732) სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. კონტრაქტის #BARP/CW/ICB-01/01 LOT 1;
2. ბათუმი (ანგისა)-ახალციხის (შ-1) შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო-ზარზმას მონაკვეთის (ლოტი2, გოდერძის უღელტეხილი-ზარზმა კმ0+000 - კმ17+380) სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. კონტრაქტის #BARP/CW/ICB-01/01 LOT 2;
3. E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის 2-ე ლოტის სამშენებლო სამუშაოები (კმ7+700-კმ14+060). კონტრაქტის #EWHCIP/CW/RFB-01.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად. კომპანიის „ფასს"-ზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, „ფასს" 1 კომპანიებისგან მოითხოვს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მოქმედი რედაქციების რეტროსპექტიულ გამოყენებას. წინამდებარე რედაქცია გამოყენებულია 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომი პერიოდებისათვის ფასს საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

აქტივების ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ მიცემული ფასეული აქტივების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას, შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ სამართლიანი ღირებულების დასადგენად რამდენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

საანგარიშგებო ვალუტა
საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა
კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი

კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშდოლარი	3.2766	3.0976	2.7020
ლარი/1 ევრო	4.0233	3.5040	2.8844

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირდაპირი ხარჯებით.
როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.
ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისათვის, ადმინისტრაციული დანიშნულებით ან იჯარით გასაცემად, აღრიცხულია თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიიის პოლიტიკით.
მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და ღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტების საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება- განახლების ხარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების გადაფასება
აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ერთეული, რომლის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ, უნდა აისახოს გადაფასებული თანხით, რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის სამართლიანი ღირებულების ტოლია, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. გადაფასება რეგულარულად უნდა ტარდებოდეს ძირითადი საშუალებებისათვის, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი სამართლიანი ღირებულებისაგან, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების ცვლილებებზე. როდესაც გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისაგან, აუცილებელია მისი შემდგომი გადაფასება. ზოგიერთი აქტივისათვის, რომელთა სამართლიანი ღირებულება სწრაფ და მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, აუცილებელია ყოველწლიური გადაფასება. შედარებით სტაბილური საბაზრო ფასების მქონე აქტივებისათვის, საკმარისია გადაფასების ჩატარება სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ.
2022 წელს ჩატარდა ძირითადი საშუალებების სრული ინვენტარიზაცია და ზოგიერთი ჯგუფის ძირითადი საშუალებების გადაფასება (სერთიფიცირებული შემფასებელი დავით სვანიძე, სერთიფიკატის ნომერი **A-1028**). გადაფასების შედეგები ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ცვეთა/ამორტიზაცია

ცვეთა/ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალში კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობების ცვეთის ნორმა შეადგენს 5 %
- ავტომობილები, საოფისე ავეჯი და ინვენტარი 20 %
- კომპიუტერული ტექნიკა და მსგავსი აქტივები 20 %
- სხვა ძირითადი საშუალებები 20 %
- არამატერიალური აქტივები 15%

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელია მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.
როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება სრული შემოსავლების უწყისში.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავენ საბუღალტრო პროგრამების ლიცენზიებს. წყლი მოპოვების ლიცენზიაN10000276, წყლი მოპოვების ლიცენზიაN10001067, ქვიშა ხრეშის მოპოვების ლიცენზია N1001903 . ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია.
შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი უნდა გადაისინჯოს ყოველი წლის ბოლოს. თუ აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი წინა შეფასებისაგან, მაშინ ამორტიზაციის პერიოდი შესაბამისად უნდა შეიცვალოს. თუ ადგილი ჰქონდა აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის ხასიათის მნიშვნელოვან ცვლილებას, მაშინ ამორტიზაციის მეთოდი უნდა შეიცვალოს აღნიშნული ცვლილების ასახვის მიზნით.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში მოგების სახით, ხოლო 15% დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როდესაც ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახდელები, რომელიც არაა ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

დასაბეგრი ოპერაცია არის, საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა, აგრეთვე საქონლის იმპორტი. დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად არ განიხილება აქტივების (მათ შორის, მომსახურების) მიწოდება საწარმოს მიერ ყველა აქტივის მიწოდებისას, რეორგანიზაციისას ან კაპიტალში შეტანისას. საქონლის დროებითი შემოტანა არ არის დასაბეგრი ოპერაცი.

საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება დღგ-ით დაიბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პირს ამ ხარჯზე დღგ-სრულად ან ნაწილობრივ აქვს ჩათვლილი. ხოლო, მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა დაიბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა არ გამომდინარეობს გადამხდელის საქმიანობის მიზნიდან ან გაწეულია თანამშრომლის პირადი სარგებლობისთვის.

საკუთარი შენობა-ნაგებობის წარმოება ან ძირითადი საშუალების რემონტი დაიბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვერ მიიღებს დღგ-ის ჩათვლას ამ საქონლის/მომსახურების სხვა პირისგან შეძენის შემთხვევაში.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან რაშიც ის იმყოფება. ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე მარაგების შენახვა-დასაწყობების ადგილების მიხედვით მატერიალურად

პასუხისმგებელი პირები ახდენენ მარაგების დათვალიერება-შემოწმებას მათ მიერ გამოვლენილი გაუფასურებული მარაგები მენეჯმენტთან შეთანხმებით ჩამოიწერება.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული და მოიცავს კომპანიის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშვილობილ საწარმოებში, ასოციაციებსა ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში. ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში. თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში. კომპანიას არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი

რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

საეჭვო ვალების რეზერვის შექმნა არ არის გათვალისწინებული, რამდანადაც კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დამკვეთი სახელმწიფოა, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახით. წინა 10-წლიანი გამოცდილებით საეჭვო ვალებს პრაქტიკაში ადგილი არ ქონია.

გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არა-დერივატულ აქტივებს, ფიქსირებული, ან განსაზღვრული ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული მზარდი მოთხოვნილების ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები ბალანსში წარდგენილია სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, წმინდა ღირებულებით.

სესხის ამორტიზირებული ღირებულება არის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვებული ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის. შენატანები და შეღავათები, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობოს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ რაც კომპანია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა სესხი პირდაპირ ჩამოიწეროს ხარჯებში როგორც უიმედო, სარეზერვო ანგარიშის გავლის გარეშე. ეს ის შემთხვევაა, როცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სესხი,რომელიც ამ მომენტამდე ჯერ არ ყოფილა საეჭვო ვალების რეზერვში შეტანილი, უფასურდება ისე, როდესაც ნათელია, რომ მისი ამოღება უიმედოა.

ადრე აღიარებული უიმედო ვალების ამოღება აღიარდება როგორც საეჭვო ვალების შემცირება. ხარჯებში ჩამოწერილი უიმედო ვალების ამოღება აღიარდება მოგება–ზარალში როგორც უიმედო ვალების ამოღება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა გადასახდელებს.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივებე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის კლიენტზე, ე.ი. როდესაც საქონელი (მომსახურება) გადაეცემა კლიენტს. შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ.
დებიტორული დავალიანება წარმოადგენს კომპანიის უფლებას ანაზღაურების თანხაზე, რომელიც არ არის პირობითი (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).
სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც კლიენტისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ კლიენტი გადახდას განახორციელებს კომპანიის მიერ მისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი).
ფასს 15-ის - „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან" - შესაბამისად, საწარმოს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების შეფასება ევალება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში"-ს შორის ფორმდება ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება შედგენილია საერთაშორისო სამშენებლო ხელშეკრულების ,, FIDIC" - ის მიხედვით და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს THE PARTICULAR CONDITIONS და THE GENERAL CONDITIONS, რომლებიც არეგულირებენ მხარეთა უფლებებს და მოვალეობებს, ასევე სამუშაოს მიღება-ჩაბარების ნორმებს. შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარება და მისი ღირებულების ანგარიშსწორება ხდება შუალედური გადახდის სერტიფიკატის საფუძველზე, რომლელსაც ადგენს კონტრაქტორი კომპანია. შუალედური შესრულების სერტიფიკატი ეგზავნება საქართველოს გზების დეპარტამენტის მიერ დაქირავებულ სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობას, რომელიც ამტკიცებს სერთიფიკატს და შემდეგ გადასცემს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ხელმოსაწერად. ხელმოწერის შემდეგ ხდება **სერთიფიკატში მითითებული სამუშოს ღირებულების შემოსავლად აღიარება.**

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთრდოულად განხორციელების განზრახვა.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:
ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ექსპლუატაციაში ყოფნისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება

ა) 2016 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2016 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ ამჟამად მოქმედ პრინციპებს, მათ შორის ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად სახსრებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი სახსრების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად.

ჯერ კიდევ ფასდება ახალი სტანდარტების, ფასს 15-შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან და ფასს 9-ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა, რადგან მათ შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფაისკ 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება

ფაისკ 22 არეგულირებს აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას გამოსაყენებელი გაცვლითი კურსის დასადგენად ტრანზაქციის თარიღის განსაზღვრას, როდესაც ამ ერთეულის ანაზღაურება წინასწარ გადახდილი ან მიღებულია უცხოურ ვალუტაში და ამან გამოიწვია არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების (მაგალითად, არაანაზღაურებადი დეპოზიტის ან გადავადებული შემოსავლის) აღიარება.

ინტერპრეტაცია აკონკრეტებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის ის დღე, როდესაც კომპანია პირველად აღიარებს საავანსო ანაზღაურების გადახდიდან ან მიღებიდან წარმოშობილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თუ საქმე ეხება რამდენიმე საავანსო გადახდას ან გადახდის მიღებას, ინტერპრეტაცია კომპანიებს ავალდებულებს, ტრანზაქციის თარიღი დაადგინოს საავანსო ანაზღაურების გადახდის ან მიღების თითოეული შემთხვევისათვის.

ინტერპრეტაცია ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება დაშვებულია. კომპანიებს ინტერპრეტაციის გამოყენება შეუძლიათ რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად. პროსპექტიული გამოყენებისას ძალაში შედის კონკრეტული გარდამავალი დებულებები.

შენიშვნა 1. ფული და ფულის ექვივალენტები

(ლარი / GEL)

№	მაჩვენებლები / Position	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
1	2	3	4	5	6
1	ფული ანგარიშსწორების ანგარიშზე / Cash on current account	2,595,787	4,021,940	26,227,410	3,038,725
2	ფული სავალუტო ანგარიშზე / Cash on foreign currency account	2,153,597	3,303,016.83	50,082,780	6,847,843
3	ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში / Cash in national currency account	2,045	59,143	5,678	168,632
4	უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში_ოვერდრაფტი / Foreign currency in non-resident bank_overdraft	-	23,670,257	8,544,026	16,688
5	***ჯამი / Total***	**4,751,429**	**31,054,356**	**84,859,894**	**10,071,888**

შენიშვნა 2. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

(ლარი / GEL)

№	მაჩვენებლები / Position	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
1	2	3	4	5	6
1	სამშენებლო მასალები / Construction materials	703,698.99	458,614.85	868,925	5,000,366
2	სათადარიგო ნაწილები / Spare parts	1,144,030.79	6,620,962	2,041,165	1,825,838
3	სპეც. ტანსაცმელი / Special clothes	700.53	-	4,891	53,770
4	ელექტროსაქონელი / Electrical material	6,028.78	-	15,564	80,012
5	სანტექნიკის მასალები / Plumbing materials	799.11	-	10,792	3,520
6	სამეურნეო მასალები და ინვენტარი / Economic materials and inventory	4,687.79	368	24,102	59,828
7	საწვავ-საპოხი მასალები / Fuel and lubricants	976,639.38	438,030	51,736	757,935
8	სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი Other inventory	178,249.51	74,758	164,364	32,677
9	***ჯამი / Total***	**3,014,834.88**	**7,592,732.72**	**3,181,539**	**7,813,946**

შენიშვნა 3. დებიტორული დავალიანება

(ლარი / GEL)

№	მაჩვენებლები / Position	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
1	2	3	4	5	6
1	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან / Receivables from supplies and services	11,331,527	6,121,722	12,742,439	29,427,884
2	გადახდილი ავანსები: / Advances paid:				
3	რეზიდენტები / To residents	1,613,161	2,244,349	1,663,498	1,064,534
4	არარეზიდენტები / To non-residents	2,817,759	2,817,759	2,817,759	2,813,247
5	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ / Receivables from employees	9,836	-	-	-
6	საგადასახადო მოთხოვნები / Tax receivables	1,0556,995	14,579,842	10,664,877	3,007,597
7	სხვა მოთხოვნები / Other receivables	1,841	1,841	1,841	1,841
8	***ჯამი / Total***	26,331,119	**25,765,513**	**27,890,414**	**36,315,104**

შენიშვნა 4. კრედიტორული დავალიანება

(ლარი / GEL)

№	მაჩვენებლები / Position	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
1	2	3	4	5	6
1	საგადასახადო ვალდებულებები / Tax liabilities	-	-	7,033,942	3,952,269
2	ვალდებულება პერსონალის წინაშე / Liability to personnel	-	715,000	-	-
3	გადასახდელი ხელფასი / Salary to be paid	-	-	-	-
4	მიღებული ავანსები / Advances received	51,164,787	69,390,213	67,191,720	-
5	ვალდებულებები მომწოდებლის წინაშე: / Liabilities to suppliers:				
6	რეზიდენტები / Residents	9,484,929	4,701,607.52	2,861,225	4,283,138
7	არარეზიდენტები / To non-residents	12,220,515	-	-	61,608,943
8	სხვა ვალდებულებები_ოვერდრაფტი / Other liabilities_overdraft	12,105,445	-	-	-
	ჯამი / Total	**84,975,676**	**74,806,821**	**77,086,888**	**69,844,349**

შენიშვნა 6. საოპერაციო შემოსავლები

(ლარი / GEL)

№	მაჩვენებლები / Position	2022 წლის 12 თვე	2021 წლის 12 თვე	2020 წლის 12 თვე
1	2	3	4	5
1	საოპერაციო შემოსავალი / Operational income	68,883,343	55,215,233	84,013,311
2	სხვა საოპერაციო შემოსავლები / Other operational income	25,432	1,876,045	-
3				
4	***ჯამი / Total***	**68,908,775**	**57,091,277**	**84,013,311**

7. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები / Non-operational income and expenses

(ლარი / GEL)

№	მაჩვენებლები / Position	2022 წლის 12 თვე	2021 წლის 12 თვე	2020 წლის 12 თვე
1	2	3	4	5
1	არასაოპერაციო შემოსავლები / 1 Non-operational income		-	-
2	არასაოპერაციო ხარჯები / Non-operational expenses	21,234.04	-	-
3	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები / Other non-operational income (expenses)		-	-
4	***ჯამი / Total***	**21,234**	**-**	**-**

შენიშვნა 8. ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

(ლარი / GEL)

№	მაჩვენებლები / Position	2022 წლის 12 თვე	2021 წლის 12 თვე	2020 წლის 12 თვე
1	2	3	4	5
1	საპროცენტო შემოსავალი / Interest income	60,080	391,148	85,679
2	კურსთაშორის სხვაობა (შემოსავალი /ხარჯი) / Exchange rate difference (income/expense)	426,642	2,847,843	21,560,741
3	არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი / Non-operational income/expense	-	-	-
4	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი) / Other non-operational income (expense)	-4,098,404	- 1,412,930	4,541,047
5	***ჯამი / Total***	**- 3, 611, 683**	**1,826,061**	**26,187,467**

შენიშვნა 9. საოპერაციო ხარჯები

(ლარი / GEL)

№	მაჩვენებლები / Position	2022 წლის 12 თვე	2021 წლის 12 თვე	2020 წლის 12 თვე
1	2	3	4	5
1	ძირითადი მასალის ხარჯი / Main materials cost	6,131,828	40,691,213	19,440,811
2	დამხმარე მასალის ხარჯი / Secondary materials cost	49,057,032	3,201,785	5,050,513
3	ტრანსპორტით მომსახურების ხარჯი / Transportation costs	1,479,462	2,491,750	1,552,249
4	ტექნიკით მომსახურების ხარჯი / Machinery maintenance costs	5,082,195	3,747,696	2,069,859
5	სხვა მომსახურების ხარჯი / Other service	6,996,433	5,580,096	8,110,267
6	საწვავის ხარჯი / Fuel cost	9,284,521	5,432,753	4,315,406
7	ჟანგბადის დატენვა და თხევადი გაზის ხარჯი / Oxygen fueling and liquid gas expenses	-	13,176	68,226
8	შრომის ანაზღაურება / Salary	9,685,938	6,891,923	6,476,786
9	ცვეთა და ამორტიზაცია / Depreciation and amortization	12,079,671	9,460,734.42	7,790,228
10	დაცვის ხარჯი / Security cost	254,816	164,461	142,669
11	გზის საფარის მშენებლობა / Road pavement cost	248,200	30,514	149,102
12	სხვა საოპერაციო ხარჯი / Other operational costs	81,350	6,019	-
13	***ჯამი / Total***	**100,381,446**	**77,712,120**	**55,166,117**

შენიშვნა 10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

(ლარი / GEL)

№	მაჩვენებლები / Position	2022 წლის 12 თვე	2021 წლის 12 თვე	2020 წლის 12 თვე
1	2	3	4	5
1	შრომის ანაზღაურება / Salary	1,688,816	2,599,566	1,740,921
2	სამეურნეო ხარჯი / Economic costs	114,785	78,037	1,422
3	სატერმინალო და საბროკერო ხარჯი / Terminal and brokerage costs	1,648	1,147	59
4	საკანცელარიო და კომპიუტერის ხარჯი / Stationery and computer costs	107,792	83,696	47,952
5	დაზღვევა / Insurance	523,018	218,821	77,361
6	სოციალური ხარჯები (საპენსიო შენატანი 2%) / Social costs (pension payments 2%)	187,165	127,577	111,470
7	მივლინების ხარჯი / Mission costs		47,142	23,750
8	იჯარის ხარჯი / Rental expenses	421,173	310,070	451,580
9	ავტომანქანის საექსპლოატაციო ხარჯი / Vehicles maintenance costs	5,257,715	1,534,063	2,660,487
10	კომუნალური ხარჯი / Utility expenses	1,618,321	955,405	611,796
11	კომუნიკაციის ხარჯი / Communication expenses	81,883	71,002	60,813
12	რეკლამის ხარჯი / Advertisement	-	-	1,900
13	ბანკის საკომისიო / Bank charges	6,664	4,852	4,512
14	სხვა საგადასახადო ხარჯი / Other tax expenses	633,745	930,131	547,315
15	საკონსულტაციო ხარჯი / Consulting expenses	2,587,345	2,584,753	2,344,582
16	სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი / Other general and administration expenses	355,707	370,802	124,349
17	***ჯამი / Total***	**13,585,777**	**9,917,063**	**8,810,269**

შენიშვნა 11. ფიქსირებული აქტივები

(ლარი / GEL

მაჩვენებლები / Position	Land	დაუმთავრებელი მშენებლობა / Construction in progress	შენობა-ნაგებობები / Buildings	მანქანა-დანადგარები / Plant, machinery and equipment	სპეც. ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები / Special machinery and vehicles	ავეჯი და სხვა ინვენტარი / Furniture and other equipment	ოფისის აღჭურვილობა / Office equipment	სხვა ძირითადი საშუალებები / Other fixed assets	**სულ / Total**
თავდაპირველი ღირებულება 01.01.2020 წლის მდგომარეობით / Opening value as of 01.01.2020	62,734	52,019	6,789,715	32,161,423	50,494,517	827,989	681,401	2,141,596	93,211,394
შემოსვლა 2020 / Inflow 2020	0	0	0	140,909	0	10,856	31,630	480,078	663,472
გასვლა 2020 / Outflow 2020	0	0	0	0	7,658	0	0	0	7,658
თავდაპირველი ღირებულება 01.01.2021 მდგომარეობით / as of 01.01.2021	62,734	52,019	6,789,715	32,302,331	50,486,859	838,845	713,031	2,621,674	93,867,207
შემოსვლა 2021 / Inflow 2021	0	0	132,271	6,746,641	22,722,944	142,826	251,463	693,983	30,690,128
გასვლა 2021 / Outflow 2021	0	0			1,542,520	0	10,529	780,439	2,333,488
თავდაპირველი ღირებულება 01.01.2022 წლის მდგომარეობით / as of 01.01.2022	62,734	52,019	6,921,986	39,048,972	71,667,282	981,671	953,965	2,535,218	122,223,847
შემოსვლა 2022 / Inflow 2022	0	0	11,641,263	22,385,034	35,120,721	100,541	46,220	362,351	69,656,131
გასვლა 2022 / Outflow 2022	0	0	2,694,864	6,547,434	2,069,124	364,652	328,480	724,631	12,729,185
თავდაპირველი ღირებულება 31.12.2022 წლის მდგომარეობით / as of 31.12.2022	62,734	52,019	15,868,385	54,886,573	104,718,879	717,559	671,705	2,172,938	179,150,793
დაგროვილი ცვეთა 01.01.2020 მდგომარეობით / Accumulated depreciation as of 01.01.2020	0	0	(2,020,202)	(18,305,534)	(30,449,433)	(404,841)	(306,910)	(1,378,481)	(52,865,402)
შემოსვლა 2020 / Inflow 2020	0	0	(739,611)	(2,704,849)	(4,025,463)	(84,696)	(76,155)	(158,092)	(7,788,865)
გასვლა 2020 / Outflow 2020	0	0	100,000	17,121	89,888	667	119	0	207,795
დაგროვილი ცვეთა 01.01.2021 წ. მდგომარეობით / Accumulated depreciation as of 01.01.2021	0	0	(2,659,813)	(20,993,262)	(34,385,008)	(488,870)	(382,946)	(1,536,573)	(60,446,471)
შემოსვლა 2021 / Inflow 2021	0	0	(655,123)	(2,915,141)	(5,142,705)	(85,022)	(93,921)	(257,054.37)	(9,148,966)
გასვლა 2021 / Outflow 2021	0	0	0	0	984,591	0	0	646,030	1,630,621
დაგროვილი ცვეთა 01.01.2022 წ. მდგომარეობით / Accumulated depreciation as of 01.01.2022	0	0	(3,314,936)	(23,908,403)	(38,543,121)	(573,892)	(476,867)	(1,147,597)	(67,964,817)
შემოსვლა 2022 / Inflow 2022	0	0	(5,588,397)	(19,710,181)	(34,861,213)	(145,108)	(98,429)	(418,153.08)	(60,821,481)
გასვლა 2022 / Outflow 2022	0	0	35,989	4,416,489	1,167,559	273,018	230,591	543,886	6,667,531
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022 წ. მდგომარეობით / Accumulated depreciation as of 31.12.2022	0	0	(8,867,344)	(39,202,095)	(72,236,775)	(445,983)	(344,705)	(1,021,865)	(122,118,767)
ნარჩენი ღირებულება / Balance value:									0
01.01.2020 წლის მდგომარეობით / as of 01.01.2020	62,734	52,019	4,769,512	13,855,888	20,045,083	423,148	374,492	763,115	40,345,992
01.01.2021 წლის მდგომარეობით as of 01.01.2021	62,734	52,019	4,129,902	11,309,070	16,101,851	349,975	330,085	1,085,101	33,420,736
01.01.2022 წლის მდგომარეობით / as of 01.01.2022	62,734	52,019	3,607,049	15,140,570	33,124,161	407,779	477,098	1,387,620	54,259,030
31.12.2022 წლის მდგომარეობით / as of 31.12.2022	62,734	52,019	7,001,041	15,684,478	32,482,104	271,577	327,000	1,151,074	57,032,026

შენიშვნა 12. არამატერიალური აქტივები

(ლარი / GEL)

№	მაჩვენებლები / Position	
1	თავდაპირველი ღირებულება 01.01.2020 წლის მდგომარეობით / Opening value as of 01.01.2020	4,150,767
2	შემოსვლა 2020 / Inflow 2020	0
3	გასვლა 2020	2,905,237
4	თავდაპირველი ღირებულება 01.01.2021 მდგომარეობით / as of 01.01.2021	1,245,530
5	შემოსვლა 2021 / Inflow 2021	3,979
6	გასვლა 2021 / Outflow 2021	3,171
7	თავდაპირველი ღირებულება 01.01.2022 წლის მდგომარეობით / as of 01.01.2022	1,246,338
8	შემოსვლა 2022 / Inflow 2022	1,799
9	გასვლა 2022 / Outflow 2022	0
10	თავდაპირველი ღირებულება 31.12.2022 წლის მდგომარეობით / as of 31.12.2022	1,248,138
11	დაგროვილი ცვეთა 01.01.2020 მდგომარეობით / Accumulated depreciation as of 01.01.2020	(2,059,982)
12	შემოსვლა 2020 / Inflow 2020	(1,363)
13	გასვლა 2020 / Outflow 2020	1,567,877
14	დაგროვილი ცვეთა 01.01.2021 წ. მდგომარეობით / as of 01.01.2021	(493,468)
15	შემოსვლა 2021 / Inflow 2021	(313,507)
16	გასვლა 2021 / Outflow 2021	1,739
17	დაგროვილი ცვეთა 01.01.2022 წ. მდგომარეობით / as of 31.12.2022	(805,236)
18	შემოსვლა 2022 / Inflow 2022	(66,446)
19	გასვლა 2022 / Outflow 2022	(234,740)
20	დაგროვილი ცვეთა 31.12.2022 წ. მდგომარეობით / as of 31.12.2022	(1,106,422)
21	ნარჩენი ღირებულება: / Balance value:	
22	01.01.2020 წლის მდგომარეობით / as of 01.01.2020	2,090,786
23	01.01.2021 წლის მდგომარეობით / as of 01.01.2020	752,062
24	31.12.2021 წლის მდგომარეობით / as of 31.12.2021	441,102
25	31.12.2022 წლის მდგომარეობით / as of 31.12.2022	141,715

14. ფინანსური რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.
ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- გეოგრაფიული რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11,333,368	6,123,563	12,742,439	29,429,725
წინასწარ გადახდილი ხარჯები	4,430,920	5,062,108	4,483,098	3,877,782
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4,751,429	31,054,356	84,859,894	10,071,888
სულ ფინანსური აქტივები	**20,515,717**	**42,240,027**	**102,085,432**	**43,379,395**

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**21,705,444**	4,701,608	2,861,225	65,892,081
სულ ფინანსური ვალდებულებები	**21,705,444**	**4,701,608**	**2,861,225**	**65,892,081**

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11,333,368	6,123,563	12,742,439	29,429,725
წინასწარ გადახდილი ხარჯები	4,430,920	5,062,108	4,483,098	3,877,782
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4,751,429	31,054,356	84,859,894	10,071,888
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	**20,515,717**	**42,240,027**	**102,085,432**	**43,379,395**

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

გეოგრაფიული რისკი

კომპანიის აქტივები საქართველოში მდებარეობს. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, კომპანია ექვემდებარება საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები						
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11,333,368					11,333,368
წინასწარ გადახდილი ხარჯები	4,430,920					4,430,920
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4,751,429					4,751,429
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(21,705,444)					(21,705,444)
ლიკვიდურობის პოზიცია	**(1,189,727)**	-	-	-	-	**(1,189,727)**

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები						
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6,123,563					6,123,563
წინასწარ გადახდილი ხარჯები	5,062,108					5,062,108
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	31,054,356					31,054,356
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(4,701,608)					(4,701,608)
ლიკვიდურობის პოზიცია	**37,538,419**	-	-	-	-	**37,538,419**

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები						
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	12,742,439					12,744,280
წინასწარ გადახდილი ხარჯები	4,483,098					4,481,257
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	84,859,894					84,859,894
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(2,861,225)					(2,861,225)
ლიკვიდურობის პოზიცია	**99,224,207**	-	-	-	-	**99,224,207**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივი და ვალდებულება, თუმცა ამგვარის შემთხვევაში მიბმული იქნება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

15. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

2022 წლის საოპერაციო პერიოდის მიმდინარე სასამართლო დავებია:

პროექტი	საქმის დაწყების თარიღი	მოსარჩელე მხარე	მოპასუხე მხარე	დავის შინაარსი	დავის ღირებულება (ლარი)	განმხილველი ორგანო
SG	May-18	შემოსავლების სამსახური	სინოჰიდრო	არასწორი ზედნადები	5000	ქუთაისის საქალაქო სასამართლო
ZC6	May-18	შემოსავლების სამსახური	სინოჰიდრო	მასალის ტრანსპორტირება ზედნადების გარეშე	5000	თბილისის საქალაქო სასამართლო
SG	Aug-18	ფ/პ ნინელი კუკულავა	სინოჰიდრო	კომპენსაცია მიწის ნაკვეთის დაზიანების გამო	39000	ოზურგეთის რაიონული სასამართლო
ZC6	Mar-19	შემოსავლების სამსახური	სინოჰიდრო	არასწორი ზედნადები	5000	თბილისის საქალაქო სასამართლო
SG	Oct-19	ფ/პ აკაკი ებრალიძე	სინოჰიდრო	კომპენსაცია მიწის ნაკვეთის დაზიანების გამო	4525	ოზურგეთის რაიონული სასამართლო
SG	Nov-22	შპს გზა 2011	სინოჰიდრო	მიუღებელი შემოსავლების მოთხოვნა, თანხის დაგვიანებით ჩარიცხვის გამო	17000	ოზურგეთის რაიონული სასამართლო
kHZ	Dec-21	სინოჰიდრო	სადაზღვევო კომპანია არდი	საბანკო გარანტიის მოთხოვნა	400000	თბილისის საქალაქო სასამართლო
KHZ	Jan-22	შპს ნტს ქონსთრაქშენი	სინოჰიდრო	ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების და მიუთღებელი შემოსავლის ანაზღაურება		ახალციხის რაიონული სასამართლო

აღნიშნული დავები 2022 წლის საანგეროშო პერიოდში არ დასრულებულა და შესაბამისად არ მომხდარა ასახვა 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანიმიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო წლებში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. 2016-2020 წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე", წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან
(ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშნველოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიას არ გააჩნდა დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები.

17. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და

- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

18. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ან შეასწოროს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ. 2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გაგრძელდა სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ინვენტარიზაცია, რამაც გამოიწვია კრედიტორული დავალიანების დამატებითი კორექტირება

20. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2023 წლის 20ივნისს.

დირექტორი / Director _____

მთავარი ბუღალტერი / Head Accountant _____

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ან შეასწოროს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ. 2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გაგრძელდა სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ინვენტარიზაცია, რამაც გამოიწვია კრედიტორული დავალიანების დამატებითი კორექტირება

20. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2023 წლის 20ივნისს.

დირექტორი / Director

მთავარი ბუღალტერი / Head Accountant

მმართველობის ანგარიშგება და 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა ზოგადი მიმოხილვა

შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ წარმოადგენს ფილიალს რომელიც დაფუძნებულია შპს „კორპორაცია სინოჰიდროს“ (რეგისტრირებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეწარმეობისა და ვაჭრობის სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ 2004 წლის 28 დეკემბერს.) 2010 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით, ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფილიალი წარმოადგენს შპს კორპორაცია სინოჰიდროს განკერძოებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფს რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, დამფუძნებლის წესდებისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

კომპანიის საქმიანობის საგანია ენერგო პროექტების, მაგისტრალების, რკინიგზების, პორტების, არხების, ქალაქის საერთო სარგებლობის ობიექტების და კომუნიკაციების, საქალაქო გზების, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მშენებლობა (წყალგაყვანილობის და კანალიზაციის სამშენებლო სამუშაოების წარმოება) და სხვა. ყველა საქმიანობა რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას კომპანიის მიერ ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მოპოვების შემდეგ.

ფილიალის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს ბატონ ჩუმინგ ვანგ-ს. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შპს კორპორაცია სინოჰიდროს დირექტორთა საბჭო თავისი გადაწყვეტილებით. ფილიალის დირექტორი დამფუძნებელთან შეთანხმებით ახორციელებს ფილიალის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური სახსრების მართვას, პასუხისმგებელია მათ სწორ და მიზნობრივ გამოყენებზე.

ფილიალის დირექტორი დამფუძნებელთან შეთანხმებით ახორციელებს:

1) სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების განსაზღვრას;
2) წარმოების სახეებისა და სამეურნე საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის პროცედურებს;
3) უძრავი ქონების გასხვისების, შეძენის და დატვირთვის ოპერაციებს;
4) პროკურის გაცემა-გაუქმებას;
5) წლიური შედეგების დამტკიცებასა და შეფასებას.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს სახელმწიფო დაკვეთებს, სახელმწიფო ტენდერში გამარჯვების შედეგების მიხედვით. აღნიშნული პროექტები ფინანსდება ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით აგრეთვე აზიის განვითარების ბანკის და ევროპის ბანკის მიერ გამოყოფილი სახსრებით. კომპანიას არ გააჩნია საბანკო სესხები და არც გეგმავს მომავალში სესხების აღებას.

ფილიალის მიერ განხორციელებული და მოქმედი პროექტებია:

1) რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია ე-60 გზის (143-ე კმ-ზე) FEWHIP-AF/CW/ICB-01

2) თბილისი-რუსთავის მონაკვეთი თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი) გზის მონაკვეთის მოდერნიზაცია პირველი და მე-3 სექცია კონტრაქტის # P42414-SUTIP2-ICB-1.03-2013

3) ქობულეთის შემოვლითი გზის კმ.0+000 - კმ. 12+400 მონაკვეთის მშენებლობა და არსებული გზის გაგანიერება 4 ზოლიანამდე, ჩაქვი-მახინჯაურის კმ.30+000 - კმ. 33+000 მონაკვეთზე. კონტრაქტის # RCIP/CW-ICB-01/03

4) ქობულეთის შემოვლითი გზის კმ.0+000 - კმ. 12+400 მონაკვეთის მშენებლობა და არსებული გზის გაგანიერება 4 ზოლიანამდე, ჩაქვი-მახინჯაურის კმ.30+000 - კმ. 33+000 მონაკვეთზე . კონტრაქტის #RCIP/CW-ICB-02

5) E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სამშენებლო სამუშაო, ზემო-ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთი LOT 1 (კმ 0+000-კმ5+800). კონტრაქტი # EWHCIP/CW/ICB-01

6) სამტრედია-გრიგოლეთის - 60 გზატკეცილის 11+500 კმ - 30+000 კმ მონაკვეთის მშენებლობა. კონტრაქტის # EWHG/CW/ICB-02

2020-2021 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და კორპორაცია სინოჰიდროს სათაო კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლის ფარგლებში პროექტებს განახორციელებს შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ 2020-2022 წლებში და რომლის ჯამური ღირებულება განისაზღვრა 360,681,790.54 ლარის ექვივალენტით:

1. ბათუმი (ანგისა)-ახალციხის (შ-1) შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო-ზარზმას მონაკვეთის (ლოტი1, ხულო-გოდერძის უღელტეხილი კმ5+195 - კმ29+732) სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. კონტრაქტის #BARP/CW/ICB-01/01 LOT 1;
2. ბათუმი (ანგისა)-ახალციხის (შ-1) შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო-ზარზმას მონაკვეთის (ლოტი2, გოდერძის უღელტეხილი-ზარზმა კმ0+000 - კმ17+380) სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო

სამუშაოები. კონტრაქტის #BARP/CW/ICB-01/01 LOT 2;
3. E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის 2-ე ლოტის სამშენებლო სამუშაოები (კმ7+700-კმ14+060). კონტრაქტის #EWHCIP/CW/RFB-01.

მიზანი, განვითარება პერსპექტივები

შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ ძირითადი მიზანი საკუთარ განვითარებაზე ზრუნვაა, რაც გულისხმობს მშენებლობის ხარისხისა და ინოვაციური საინჟინრო მიდგომების დანერგვას და შეთავაზებას ბაზარზე, მიმდინარე პროექტების დასრულება და ახალი პროექტების მიღება-შესრულება, სადაც უპირატესობას წარმოდგენს კონკურენტული ფასი და შესრულებული სამუშაოს ხარისხის მაღალი სტანდარტი.

რისკ - ფაქტორები

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად რისკს წარმოადგენს სამშენებლო მოედანზე არსებული მატერიალური მარაგების და ძირითადი საშუალებების ქურდობის შესაძლო შემთხვევები. აგრეთვე სამშენებლო ტერიტორიის გამოყოფასთან დაკავშირებით შეფერხებები (რაც გამოწვეულია სახელმწიფოს მიერ მიწის ნაკვეთის კერძო მფლობელებიდან გამოსყიდვის სირთულეებით). სახელმწიფოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მომსახურების საანგარიშსწორებო თანხაზე მითითებულია ფიქსირებული გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში. ვალუტის კურსის მერყეობა მოქმედებს დებიტორულ დავალიანების თანხაზე, რაც ხშირ შემთხვევაში კომპანისთვის საზიანოა.
კომპანია ფუნქციონირებს გრძელვადიანი ინფრასტრუქტურული სამშენებლო საერთაშორისო სახელმწიფო კონტრაქტების საფუძველზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს შემოსავლების სტაბილურობას საფინანსო წლის განმავლობაში. კომპანიის ბალანსის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ ოპერაციებზე არ შეინიშნებოდა. საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი შეფერხებები გამოწვეული იყო მკაცრი კლიმატური პირობებით, რომელიც ეხება ბათუმი (ანგისა)-ახალციხის (შ-1) შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო-ზარზმას მონაკვეთის ლოტი1-ს და ლოტი2-ს, აისახა შესრულების ტემპებში (IPC), თუმცა ჯდება სახელშეკრულებო ვადებში.
ასევე, მენეჯმენტმა შეაფასა მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში განვითარებული ეპიდემიოლოგიური რისკებით გამოწვეული შეზღუდვები (2022 წლის განმავლობაში), რომელთაც შეეძლოთ გავლენა ექონიათ ბალანსის შემდგომი პერიოდის ოპერაციებზე.
საბოლოოდ, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კომპანიის ანგარიშგების მუხლების და ოპერაციების შესაბამისად ქვემოთ მოცემული პოზიციების მიმართ გამოვლინდა რისკები:

- შემოსავლების შემცირება
- მიწოდების ჯაჭვისა და მიწოდების პოტენციური რისკები
- დაგეგმილი განვითარების გეგმების შეუსრულებლობა დათქმულ ვადებში
- ეროვნული ვალუტის გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო რისკების გავლენა

კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს აღნიშნული რისკების და მათგან მომდინარე შესაძლო შედეგების პრევენციის მიმართულებით.

მართვა და პერსონალი

კომპანიაში დასაქმებული პერსონალი დაყოფილია შემდეგი ფუნქციონალური ნიშნების მიხედვით:
- ადმინისტრაციაში დასაქმებული პერსონალი;
- შესყიდვებისა და ლოჯისტიკის მიმართულებით დასაქმებული პერსონალი;
- სამშენებლო მოედნებზე დასაქმებული პერსონალი

კომპანიის პერსონალის რიცხოვნობა შეადგენს საშუალოდ 700 დასაქმებულს, საიდანაც 70% შეადგენს საქართველოს მოქალაქე პირებს.

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

კომპანიის შემოსავალმა საოპერაციო საქმიანობიდან 2022 წელს შეადგინა 68,908,774ლარი (2021 წელთან მიმართებაში გაზრდილია 25%-ით).

დასკვნა

ამგვარად, არსებული აქტიური კონტრაქტები, სამომავლო გეგმები და მენეჯმენტის ხედვა კომპანიის განვითარებასთან დაკავშირებით იძლევა იმის მყარ გარანტიას, რომ კომპანია გააგრძელებს მუშაობას დაგეგმილი გეგმების შესასრულებლად, რომელიც შეეხება კომპანიის მდგრად განვითარებას და მეტი სოციალური პასუხისმგებლობის აღებას ქვეყნისა და კომპანიის საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

_____

დირექტორი
სიანგ ჯინშენგ
30 ივნისი, 2023 წ.
თბილისი, საქართველო

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

კომპანიის შემოსავალმა საოპერაციო საქმიანობიდან 2022 წელს შეადგინა 68,908,774ლარი (2021 წელთან მიმართებაში გაზრდილია 25%-ით).

დასკვნა

ამგვარად, არსებული აქტიური კონტრაქტები, სამომავლო გეგმები და მენეჯმენტის ხედვა კომპანიის განვითარებასთან დაკავშირებით იძლევა იმის მყარ გარანტიას, რომ კომპანია გააგრძელებს მუშაობას დაგეგმილი გეგმების შესასრულებლად, რომელიც შეეხება კომპანიის მდგრად განვითარებას და მეტი სოციალური პასუხისმგებლობის აღებას ქვეყნისა და კომპანიის საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

დირექტორი
სიანგ ჯინშენგ
30 ივნისი, 2023 წ.
თბილისი, საქართველო